

დღეღამე

გულმგულად შემოსახარებელია!

საბავშვო
109-3
საბავშვო

№6, 2013



ედუარდ უგულავა

საუბრა

ოცდახუთსა დეკემბერსა
ქრისტე იშვა ბეთლემსა.
შენ გელოდა ეს ქვეყანა,
შენ მაღალს და შენ ერთსა!..

თოვლი მოდის ზეციდან,
მადლი გვათოვს სიცოცხლის
თუ ჩვილ უფალს ღვთისმშობელი
კეთილ თვალებს გიკოცნის?!

ო, უფალო, კანცის ცოდვილ
სულის შეველად მოსულო,
– ქრისტე იშვა!
– ქრისტე იშვა!
საქართველო ღოცულობს!

მხატვარი
დალი მუსაძე



მზია ჩხეტიანი 70 წლისაა

პოეტი დიდი ხანია სასოებით ინახავს წერილს, უფრო სწორად, მისალოც ბარათს, რომელიც 1979 წლით არის დათარიღებული. – ისეთი დაბნეული ვარ, ყველაფერი მეკარგება, მაგრამ ჩემი ღვთაებრივი მაყვალა მრევლიშვილის ბარათს როგორ დავკარგავდიო, ამბობს, – ან ამაზე ძვირფასი და სანუკვარი რა შეიძლებაოდა მქონოდაო.

ვფიქრობთ, ქართული საყმანვილო პოეზიის ამ ჭეშმარიტი კლასიკოსის, „დილის“ დიდი მოამაგის – მაყვალა მრევლიშვილის აზრზე სარწმუნოსა და კომპეტენტურს მზია ჩხეტიანის ნიჭისა და მისი საბავშვო ლექსების შესაფასებლად ვერაფერს შემოგთავაზებთ. აი, ის ბარათიც:

„ყველაფრით შემკულო ჩემო საყვარელო მზია!

ეს წერილი მიკარნახა სიხარულმა, რაც თქვენი ახალი ლექსით განვიცადე: აი, გადაშლილი მაქვს „დილა“ და ანათებს ლექსი ...

ყოველი სტრიქონი თქვენი ამაღლებული ლექსისა, ყოველი სიტყვა მასში ციმციმებს, ბრწყინავს შინაგანი კეთილშობილებით, რაც მხოლოდ თქვენი უშუალოებით, სინრფელით, შთაგონებითაა სავსე.

გმადლობთ, „ყვავილების“ დანერისთვის! მე ვისვენებდი სულიერად მისი ნაკითხვით. წერეთ, წერეთ, წერეთ, ჩემო კარგო. ეგ არის ის, რასაც სპეტაკი სული უკარნახებს პოეტს. დღეს ბედნიერი ვარ თქვენით.

**მარად თქვენი
მაყვალა მრევლიშვილი“**

ამ ბარათის დანერიდან სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ქალბატონი მზია კი კვლავ სიყვარულით წერს ჩვენთვის და ჩვენი ბავშვებისთვის.



კ ვ რ ი ნ ხ ს ა

შავი კვრინხსა გაიკირხსლა,
მოჰყვა ჩხარუნს ნება-ნება,
კვრინხსის ტოტზე ვვაუი ზის და
შავ-შავ მარცვლებს ეძალება.
მირს კურდღელი მიდი-მოდის,
ბუჩქს განს უვლის აცაბაცა,
მსერას სტაცებს კვრინხსის ტოტი,
ვაუი რომ კრეფს მარცვალ-მარცვალ.
ვაავს კურდღლისთვის არ სცაღია,
კვრინხსაშია ვვაუის სული,
– გაცივდები, ვვანხაღია,
გაწეენს კვრინხსა, გაიკირხსლული.
– ნუ ინაღვლებ, მახარია, –
მისდგა ისევ ვვაუი კენკრას, –
მესამასე სამთარია,
რაც გაიკირხსლულ კენკრას ვკენკავ.


ჭ ა მ თ ა რ ი მ ო დ გ ა

სულ ფოთოლ-ფოთოლ გაზიდა
ქარვის ბაღები ქარებმა...
ახლა იმ მთიდან, ამ მთიდან,
სუსხის სიცივის მარებლად
მოდგა ზამთარი, თეთრწვერა,
ჩამოათეთრა ხევსუვი,
მაღე ქალაქშიც ვკეწევა
თეთრი ფიფქების ფერწულით.



მხატვარი
ნანა სანაია






სეზონი

დოღო
სიმშიაშვილი-ვადაჭკორია





ვაკრო

გრძელ ქუჩას მარცხნივ და მარჯვნივ ყვავილნარში ჩამჯდარი აივნისანი, კოპნია სახლები მიუყვებოდა. ყველა სახლში კარგი ხალხი ბინადრობდა. ერთ სახლში დედასთან და მამასთან ერთად სამი ძმა ცხოვრობდა: სიკოკა, ბესიკო და ვაკრო.

გავიდა ზაფხული, შემოდგომაც მიიღია. ყვითელ, უნაბისფერ და წითელ ფოთლებს ცეკვა-ცეკვით დააქროლებდა ქარი ხეებისა და სახლების გარშემო. კრამიტით დახურულ სახლებზე წამოსკუპებული საკვამურებიდან ბოლი ისე ამოდიოდა, თითქოს ვიღაცები ჩიბუხს აბოლებენო.

ჰოდა, ერთ დღეს სამი ძმის მამამ უთხრა ბიჭების დედას: „ამ ბიჭებს, მგონი, ქურქები დაუპატარავდათ, ბაზარში უნდა წავიყვანო, ზამთრისთვის თბილი ტანსაცმელი უნდა ვუყიდო“. „არა, – თქვა დედამ, – ამდენი ფულის ხარჯვა საჭირო არ არის, სიკოკას ქურქი ბესიკოს მოერგება, ბესიკოსი – ვაკროს. მხოლოდ ერთი ქურქიდა გვექნება საყიდელი. ახალი წელი მოდის, ჩემო ბატონო. დანარჩენი ფულით თაფლი ვიყიდოთ, კარგი გოზინაყი გავაკეთოთ, ბიჭებს სხვადასხვა ტკბილეულით პირი ჩაუფტკბარუნოთ“.

„ეგრე იყოს!“ – თქვა მამამ. სამივე ბიჭი წინ გაირეკა და დაადგა ბაზრის გზას. ბაზარში უამრავი ხალხი ირეოდა, დახლები სხვადასხვა სანოვაგით იყო სავსე. მამა ერთ ღია კარში შევიდა, მოგრძო ოთახში დახლებზე და ჭერში ბავშვის ტანსაცმელი ეწყო და ეკიდა. ნოქარი



ბიჭების მამას მიესალმა. რას გვიბრძანებო? – ჰკითხა. ერთი ამ უფროსი ბიჭისთვის კარგი ქურქი გადმომიღე თუ კაცი ხარო.

სანამ მამა-შვილი ქურქს არჩევდა, ბესიკო ველოსიპედს ჩაუცუცქდა, ბორბლებს ხელი გადაუსვა, მერე კრიალა საჭეს წაეტანა და ზარიც ააწკარუნა. თან იქვე მდგომ გამყიდველ ქალს გაუღიმა. ეტყობა, გამყიდველი კეთილი გულისა იყო, მანაც შესცინა ბიჭუნას. ამ დროს, სად იყო და სად არა, ვაკრომ გამოყო თავი. „რაო, გენაცვალე?“ – თავზე ხელი გადაუსვა ქალმა ბიჭუნას. ვაკრომ საჩვენებელი თითი გაიშვირა, – აი, ის ქურქი ჩამომიღეთ, დეიდა, სწორედ ჩემი ზომისააო.

ქალი შეტრიალდა, ქურქი საკიდიდან ჩამოხსნა და ვაკროს მოარგო. ვაკრომ ჩაიცვა, ერთი-ორი ნაბიჯი წინ და უკან გადადგა. აი, ის არის მამაჩემი, ფულსაც ის გადაიხდისო, – შესძახა გამყიდველს და შურდულივით გავარდა კარში. ქალმა ტუჩებზე ხელი აიფარა და სიცილი ძლივს შეიკავა.

ამ დროს ახალ ქურქში გამონყობილი სიკოკა წამოვიდა წინ. მამაც უკან გამოჰყვა და გამყიდველს გამოემშვიდობა. მიმავალ მამა-შვილს გამყიდველი ქალი აედევნა: „თქვენმა ბიჭმა ქურქი მოიზომა, მოუხდა კი ძალიან, თქვენზე მომითითა, – ეს არის ჩემი მამაო და ვაკურცხლა“. ამ სიტყვებზე გამყიდველმაც და მამამაც ხმამაღლა გადაიხარხარეს.

მამამ ფული გადაიხადა. გამყიდველს გამოემშვიდობა და ბიჭებს უთხრა, ჩქარა წავიდეთ, სად გაქრა ის ანციო. გამოვიდნენ, მაგრამ ვაკრო არსად ჩანდა. შენუხდა მამა. „შინ წავიდოდა, მამი, რისი გეშინია“, – დაამშვიდა სიკოკამ.

აჩქარებული ნაბიჯით გაუდგნენ გზას, გაიარეს ერთი, ორი, მგონი, ხუთი სახლის წინ და გავიხედოთ, მეზობლის ჭიშკრიდან გამობრძანდა ახალ ქურქში გამონყობილი ჩვენი ვაკრო.

– ბიჭო, სად იყავი! – შესძახა მამამ.

– სად ვიყავი? მამ, მეზობლებისთვის ახალი ქურქი არ უნდა მეჩვენებინა? – გაიკვირვა ვაკრომ, მერე ისევ ჯიბეებში ჩაიწყო კაცივით ხელეები და წინ გაუძღვა ძმებსა და მამას.

სხვა რა გზა იყო, მამა და ძმებიც უკან გაჰყვნენ.

მხატვარი
მალხაზ კუსაშვილი





მარიამ ნიკლაური

ქინაზი

ღამეა და ზუის ქარი,
კედლებს გააქვთ ჭრანჭრუჭი,
საბუღარში, დედის ფრთებქვეშ,
ფშვინავს ორი ბატის ჭუკი.

ერთი ისეთ სიზმარს ხედავს,
ახლოს მისვლას ვერ გაბედავ –
ბატის ჰრინცმა, ჰატარამ,
მიიწვია მეჯლისზე!
კაბა შვენის თეთრი გედის,
მძივებით და ლურჯი რუშით.
მეორე კი მთელი ღამე
დაჭყაპუნობს ვითომ რუში.

მარტო დედას არ სძინავს,
რად აშინებს ქარ-წვიმა?

ღელესთან რომ უდებამო
ჭუკი ნახა გუშინ,
სად არიო, ფიქრობს – ნეტავ,
ჩამახუტა გულში.
მოვძებნი და მოვიყვანო
უსათუოდ შინ...

გარეთ კიდევ ქარი ზუის
და საშინლად წვიმს.

მხატვარი
ბარბარა მატაპარიანი

სუნს შეიგრძნობს ცხვირი,
გრძელიც, მოკლეც, მსხვილიც.
უურებს ესმით ხმა და ბგერა,
ახლო – კარგად,
შორი – მნელად.
ზირი ვეველს გემოს ცნობს,
ამბობს – „ტკბილი მწარეს სჯობს!“
თვალი ხედავს შინ და გარეთ
ჩვენს მშვენიერ არემარეს.
დღისით – კარგად,
ღამით – მნელად,
იმიტომ, რომ ღამით ბნელა.

გეჩვენება ბუად,
გარშემო რამ თუა.
ველარაფერს ეხები,
უკან გრჩება ფესები,
გეშინია, აბა, რა?!
სჯობს, დაგმალოს საბანმა
და გეძინოს დილამდე
ვეველა შიშის ჯინაზე!



მონათვენი ქუევი




ერთ თოვლიან დღეს იხვის ორი ჭუკის პანია თავებში მართლაც ჭუკების საკადრისი აზრი გაჩნდა: რაღაც უნდა დასჯდომოდათ, ყინვისგან სარკესავით მოპრიალებულ გორაზე დასრიალებულიყვნენ. რადგან სახლში ციგა ვერ მოძებნეს, ბევრი იფიქრეს და რაღაც მოიფიქრეს: იქვე ქუჩაში ნაპოვნი ჯოხები მოაგროვეს და თავიანთი ფრთებით პატარა ციგა შეკრეს.

- პირველმა მე უნდა ვისრიალო! - ომახიანად შესძახა უფროსმა ჭუკმა.
- მე მეტი ჯოხი შევაგროვე, პირველობა ჩემია!
- შემფოთდა უმცროსი.



სპილოს საახალწლო მზადება აქვს, სტუმარი ბევრი მოვა, სპლიყვებსაც ძალიან უყვართ პირის ჩატკბარუნება. საკონდიტროს დახლთან მისული იხსენებს, ვის რა უყვარს და თან ითვლის.



– ეი, ციგის შეკვრა ხომ მე მოვიფიქრე!

– არა, მე! – დათმობას არც უფროსი ფიქრობდა და არც უმცროსი. ერთი ერთი ბოლოდან ჩააფრინდა ციგას, მეორე – მეორე ბოლოდან, დაუნყეს აქეთ-იქეთ განევ-გამონევა. იმდენი იძიძგილავეს, რომ ციგა უნებურად მოყინულ გორაზე დაუცურდათ.

– არიქა, ციგა უჩვენოდ სრიალებს, – შესძახა უფროსმა, თავის ძამიკოს ფრთა დაავლო და თვალის დახამხამებაში ორივენი გაქანებულ ციგაში ჩახტნენ.

– მოვასწარით! მოვასწარით! – მხიარულად შესძახა უფროსმა ჭუკმა და შიშისგან გაფითრებულ ძამიკოს ერთი გემრიელი მუჯღუგუნი უთავაზა.



მხატვარი
ელენა ვარამაშვილი



მოულოდნელად ციგას ჯერ ერთი ჯოხი მოსწყდა, მერე მეორე... ახლა უკვე უფროსი ჭუკიც გაფითრდა. ცოტაც და ციგისგან აღარაფერი დარჩა, მაგრამ სანყალ ჭუკებს ის უფრო აღარდებდათ, რომ გაზაფხულამდე ლოგინში წოლა მოუნევდათ.

ინვნენ ჭუკები უძრავად, დარცხვენილები. დედას ვერაფრით უსწორებდნენ თვალს.

– ასე რამ გამოგაჭუკათ, – ყოველ მათ დანახვაზე ისევ თავიდან იწყებდა ქოთქოთს დედა იხვი, თან ჭუკებს თაბაშირდადებულ ბარკლებზე ნაზად უაღერსებდა.



აბა, დახლს კარგად დააკვირდი და გამოიცანი, რამდენი ნაჭერი ნამცხვარი იყიდა სპილომ?





საძაგელმა თახვმა მიწა თხარა, თხარა და სანყალ თავუნებს
სოროსკენ მიმავალი გზა აურიო. შინ მისასვლელად წრუნუნებს
შენი დახმარება დასჭირდებათ.

მხატვარი
ლაშა სულაკაური





ჰოლ ჰიალარი

რომ კურდღელი უმნეო იყო და თავლას მიჩვეულს, საზრდოს შოვნა გაუძნელდებოდა. იქნებ, იმიტომაც ვერ ველეოდი, რომ ძალიან მიყვარდა? მოსვენება დავკარგე.

ერთ დილით ეზოში შევედი. თავლის კარი ღია დამხვდა. ამაოდ ვეძებდი ჩემს მეგობარს. ვერ გამეგო, ცამ ჩაყლაპა თუ დედამინამ.

– შეხედეთ, აი ბალანი, სწორედ აქედან გაიპარებოდა, – მიმახედა დარაჯმა ეზოს კედლისკენ.

– როგორ, კედელს გადაახტა? ორ მეტრზე მაღალია.

– ჩანს, გადამხტარა.

მართლაც, კედელზე ეკლიან მავთულს მოყვითალო ბენვის ბლუჯა გამოსდებოდა. კოკო გაპარულიყო!

კედლის იქით კი მინდორი გადაშლილიყო. კოკო იქ თავისუფლად ინავარდებდა. ალბათ, არად უღირდა ჩემი ალერსი, ჩემი სიკეთე...

– კურდღელი კია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც ნადირია. ლალად სურს ცხოვრებაც და სიკვდილიც, – მითხრა დარაჯმა.

– ჰო, იმიტომაც არჩია მინდორი. ასეთია მისი ცხოვრების ნირი!

– კურდღლებს კიდევ ბევრჯერ გადაეყრებით, – მანუგეშებდა დარაჯი.

ღიახ, ნადირობისას მერეც ბევრს გადავეყარე, მაგრამ მოკვლით არც ერთი არ მომიკლავს. დიდხანს, დიდხანს გამიჭირდა მათზე ნადირობა – ვშიშობდი, რომელიმე კოკოს სისხლი და ხორცი არ ყოფილიყო.

ფრანგულიდან თარგმნა
მარინე ჭილაშვილი

კურდღელი სულაც არ არის ისეთი მშიშარა და სევდიანი ცხოველი, როგორსაც მეზღაპრეები ხატავენ. ის ერთი დაუცველი, პატარა არსებაა, რომელსაც ადამიანისა და ძაღლისგან თავის დახსნა მხოლოდ გაქცევით შეუძლია. თუმცა კარგი სირბილიც ხომ გულადობაა!

ერთი შეხედეთ, როგორ გარბის, როგორ ბრუნდება უკან, ნაკვალევზე, როგორ ელოდება ძაღლებს, რა სისწრაფით გადაირბენს ხოლმე მინდვრიდან ტყეში, ტყიდან მინდორში და, როცა დარწმუნდება, რომ მონადირეებს კვალი აურ-დაურია, სწორედ მაშინ, ვითომც აქ არაფერიო, თამამად ჩაუვლის გვერდით მდევრებს, რომლებიც ვერც კი ამჩნევენ მას.

ბაჭია, რომელზედაც მინდა გიამბოთ, შუა საფრანგეთის ტყეში ბინადრობდა. ერთი ბენო, ყურებდაცქვეტილი, თავისი პატარა თათებით მუდამ გასაქცევად მომზადებული. ტყეში მარტოს ნავანყდი. ვიფიქრე, ალბათ, დედა მოუკლეს და ობოლია-მეთქი. ბაჭია დაილუპებოდა, შინ რომ არ წამეყვანა. სახლში მივიყვანე და თავლაში შევუშვი. იმანაც მაშინვე ცხენის ჩლიქებთან მოიკალათა. ასე იზრდებოდა დღითი დღე.

სულ მალე ბაჭია ნამდვილი კურდღელი დადგა. კოკო დავარქვით. თავლის კარიც გავუღეთ და გარეთ გამოვუშვით. ეზოში კი მიდი-მოდიოდა, მაგრამ თვალი მაინც სულ თავლისკენ ეჭირა. არ ვიცი, ესმოდა თუ არა თავისი სახელი – დაძახებაზე მაშინვე მობოდა. კოკო ყველაზე მხიარული და ბედნიერი იყო ტყის ბინადართა შორის.

ეს ცანცარა ეზოში სულ სკუპ-სკუპით დახტოდა. ზოგჯერ შეჩერდებოდა და ჩვენკენ იყურებოდა, თითქოს რაღაცას გვეკითხებო, მერე თავლის ღია კარებში შეძვრებოდა და თივამი ტკბილად ჩაიძინებდა.

გავიდა დრო და კოკომ მოიწყინა. ეზოში გული აღარ უდგებოდა. მეცოდებოდა. გადავწყვიტე, ველად გამეშვა, მაგრამ თან გული მეთანაღრებოდა. თავს ვარწმუნებდი,



მხატვარი **დარეჯან ჭილაშვილი**





ჩემი მზიანული





ბავშვების დღე



გუგულის სახლი



ძველებურ საათში პატარა გუგული ცხოვრობდა. საათი მუხის ხისგან იყო გაკეთებული და უკვე მრავალი წელი ერთ სახლში, ერთსა და იმავე ადგილზე ეკიდა. ზუსტად არავინ იცოდა, როდის ჩამოვიდეს საათი კედელზე. თუმცა უიმისოდ ცხოვრება ვერავის წარმოედგინა. გუგული საათში ერთხელ კარს აღებდა, გამოსტებოდა და ყელმოღერებული შესძახებდა:

– გუ! გუ! გუ!

გუგულის შეძახილი მეზობლებსაც კი ესმოდათ და საათებს ასწორებდნენ. რა თქმა უნდა, გუგულიანი საათი ყოველთვის ზუსტად მუშაობდა, არც უკან რჩებოდა და არც წინ მიდიოდა. ასე იყო, ვიდრე უცნაური რამ არ მოხდა:

ერთ მშვენიერ, თუმცა შეიძლება არც ისე მშვენიერ დღეს გუგული გაჩუმდა. აღარც კარს აღებდა და აღარც თავის „გუ-გუ“-ს გაიძახოდა. გახდა პირველი საათი, გახდა ორი, სამი, გუგული კი კვლავ დუმდა. ყველა შეწუხდა.

– რა უნდა მომხდარიყო, რამდენი წელია, საათი ერთხელაც არ გაფუჭებულა, სულ ზუსტად მუშაობდა. ახლა კი რა დაემართა? – ამბობდა ბაბუა.

– მეც ამ სახლში დავბერდი და არც მე მახსნდება ასეთი რამ, – დარდობდა ბებოც.

მაგრამ ყველაზე მეტად ბიჭუნამ მოინყინა, რომელიც იმ სახლში ცხოვრობდა. გუგულის გამოსვლას მუდამ მოუთმენლად ელოდა, ახლა კი ის არა და არ ჩანდა.

– ხელოსანი უნდა გამოვიძახოთ, – გადაწყვიტა მამამ, ტელეფონის ყურმილი აიღო და საათების საამქროში დარეკა:

– თუ შეიძლება, საათების შემკეთებელი გვჭირდება. ჩვენს გუგულს რაღაც დაემართა, – თქვა მან და ყურმილი კმაყოფილი სახით დაკიდა.

სულ მალე კარზე ზარი გაისმა. კარი ბებომ გააღო. ზღურბლზე რუხი ფერის ტანსაცმელში გამონყობილი სათვალისანი კაცი იდგა, რომელსაც ხელში ყუთი ეჭირა.

– საათის შემკეთებელი თქვენ გამოიძახეთ? – იკითხა მან ომახიანად.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მობრძანდით.

სათების შემკეთებელი ხის საათს მიუახლოვდა, კედლიდან ფრთხილად ჩამოხსნა და ყურადღებით დაათვალიერა. მერე გახსნა და შიგთავსიც შეამოწმა. გუგული თავის პატარა სახლში გასუსული იჯდა. დიდხანს ატრიალა საათების შემკეთებელმა საათი, ყველაფერი საგულდაგულოდ შეამოწმა, შემდეგ დახურა, თავის ადგილზე დაკიდა და თქვა:

– საათი არ გაფუჭებულა. მექანიზმი გამართულია და ზუსტად მუშაობს. არ მესმის, რისთვის გამოიძახეთ.

– გუგული გარეთ აღარ გამოდის, არც „გუ-გუ-ს“ იძახის, – თვალეზი აუცრემლიანდა ბიჭს.



– არც კი ვიცი, რა გირჩიოთ. ალბათ გუგულს რაღაც დაემართა. იქნებ ვეტერინარს მიმართოთ, – თქვა საათების შემკეთებელმა, ყუთი აიღო და წავიდა.

– რომელ ვეტერინარს. ეს ხომ საათია. გუგულიც ნამდვილი არ არის, სათამაშოა, – გაბრაზდა მამა.

არადა ბიჭი სულ უფრო და უფრო უმატებდა ტირილს.

– რა ვქნათ, რაღაც ვილონოთ. გამოვიძახოთ ვეტერინარი, იქნებ რამე გვირჩიოს, – ნერვიულობდა დედა.

ბევრი კამათის შემდეგ ვეტერინარიც გამოიძახეს. ვეტერინარმა თეთრი ხალათი ჩაიცვა, ფონენდოსკოპი მოიმარჯვა და გუგულის სინჯვა დაიწყო.

– საერთოდ ცოცხალ ცხოველებსა და ფრინველებს ვმკურნალობ. სათამაშოებისთვის არასდროს მიმკურნალია, მაგრამ მაინც ვცადოთ, – თქვა ვეტერინარმა და ყურადღებით გასინჯა გუგული. გულისცემას მოუსმინა, ყელშიც ჩახედა, სიცხეც გაუსინჯა. ბოლოს ბიჭუნას მშობლებს მიუბრუნდა და უთხრა:

– ვფიქრობ, გუგულს სევდა მორევია. თავს მარტოსულად გრძნობს. ამიტომაც თავის სახლში ჩაიკეტა და გარეთ აღარ სურს გამოსვლა. წამალს ვერ გამოვუწერ, ვინაიდან მაინც ვერ დალევს.

– აბა, რა ვუშველოთ?

– არ ვიცი. მოეფერეთ, ესაუბრეთ, იქნებ დარდი გაუფანტოთ და ისევ გახალისდეს, – დაარიგა ყველა და წავიდა.

ბიჭუნას მშობლები კიდევ უფრო შეწუხდნენ. ბებია და ბაბუაც ადგილს ვერ პოულობდნენ. ბიჭი კი ტიროდა და ტიროდა.

– მე ვიცი, რაც უნდა ვქნა, – თქვა ბაბუამ, ქუდი დაიხურა: საათი აიღო და სადღაც წავიდა.

სალამოს დაბრუნდა და საათი თავის ადგილას დაკიდა. ყველამ კედლისკენ გაიხედა. ბიჭუნამ თვალეხსარ დაუფერა.

გუგულის სახლს პატარა ხის აივანი ჰქონდა მიდგმული და ერთის ნაცვლად ორი კარი

იყო გამოჭრილი. აივანზე ციცქნა ყვავილიანი ქოთნები ეწყო, საათის ხის კედლები კი ლამაზი ორნამენტებით იყო მორთული.

სწორედ მაშინ, როცა გაოცებული ბიჭუნა და მისი მშობლები საათს ათვალთვლებდნენ, თორმეტი შესრულდა. უცებ ორივე კარი გაიღო, იქიდან ორი გუგული გამოხტა და ერთხმად, რიხიანად შესძახეს: „გუ-გუ-გუ!“

– ვიფიქრე, რომ ჩვენს გუგულს მეგობარი დასჭირდებოდა, – ჩაილიმა ბაბუამ და ბიჭუნას ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.




მხატვარი
როინა შილუბია



ცხოველთა ცხოვრება



ცხენი - (Equus)
 სამეფო - ცხოველები
 ტიპი - ქორდიანები
 კლასი - ძუძუმწოვრები
 რიგი - კენტრლიქოსნები
 ოჯახი - ცხენისებრი




ცხენი ოთხფეხა კენტრლიქოსანი ძუძუმწოვარი ცხოველია. ამ გვარში სულ 8 სახეობაა, რომლებიც 4 ქვეგვარშია გაერთიანებული: 1. ნამდვილი ცხენი, რომელსაც ეკუთვნის პრევევალსკის ცხენი, ამომწყდარი ტარპანი და შინაური ცხენი; 2. ვირი; 3. კულანი; 4. ზებრა.


შენთვის ყველაზე ნაცნობი, ალბათ, შინაური ცხენია. ძალიან ძველ დროში, 5 მილიონი წლის წინათ, მისი წინაპრები თურმე ჩრდილოეთ ამერიკაში ბინადრობდნენ, მაგრამ უკანასკნელი გამყინვარების დროს მთლიანად გადაშენებულან. ამჟამად გარეული სახეობები იშვიათად გვხვდება და მათ კანონი იცავს. მოშინაურებულ ცხენს კი თითქმის ყველა კონტინენტზე შეხვდებით (გარდა ანტარქტიდისა). ის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში განვრთნა და გახედნა ადამიანმა. უხსოვარი დროიდან არავის ტოვებდა გულგრილს ცხენების სილამაზე, სიმკვირცხლე, სიმარდე, სიძლიერე და საზრიანობა; ამიტომ ადამიანებს ამ ცხოველთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებთ.



მუსტანგი გავლურებული შინაური ცხენია. ის ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილოეთ ამერიკის პრერიებში. მათი რაოდენობა XVIII საუკუნეში 4 მლნ. აღწევდა, XX საუკუნეში კი 20 ათასამდე შემცირდა და სულ უფრო მცირდება.



იცი თუ არა, ჩემ..



საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა კლიმატურ პირობებში თუ ტერიტორიებზე ცხენის არაერთი ჯიში ჩამოყალიბდა (200-ზე მეტი).

საქართველოში განთქმული იყო თუშური ქურანი და მეგრული წაბლა ცხენები.

აღბათ არც ერთ ენას არ მოეპოვება ცხენის იმდენი სინონიმი, რამდენიც ქართულს: **ჰუნე, მერანი, რაში, ბედაური, ტაიჭი... ურა** ან **უხედნი** (მამალი კვიცი), **ულაყი** ან **აჯილა** (დაუკოდავი მამალი ცხენი), **იაბო** ან **ლაფშა** (დაკოდილი), **ფაშატი** ან **ჭაკი** (დედალი ცხენი), **სინიბი** ან **მაშტაკი** (ფეხმაგარი), **ოჩანი** ან **გაქირი** (ურჩი), **მარქაფა** ან **ჯინიბი** (მძიმე სამუშაოთა ცხენი), **საფორანე** ან **საჯოგავი** (ბარგის საზიდავი)...



პირველი
პლანეტის პიანეტა,
2014 წელი
ლუჩო ნოსტრის
წელიწადი.


ყველაზე პატარა ტანის ცხენი – მისურის შტატში, ქალაქ სენტ-ლუისში დაბადებული ფაშატი, სახელად ტამბელინა, სიმაღლეში 44.5 სმ-ს არ აღემატებოდა. ყველაზე მაღალი ცხენი – „ფირპონი“, მისი სიმაღლე 2,16 მ-ს აღწევდა. ყველაზე მძიმე ცხენი – „ბრუკლინი უმაღლესი“ (Brooklyn supreme) – სუფთა სისხლის ცხენი ბელგვიდან, 1451 კგ-ს იწონიდა. ყველაზე დიდხანს იცოცხლა ულაყმა, სახელად „ბებერი ბილი“, რომელიც 1760 წელს დაიბადა ლანკაშირში და 62 წელიწადს იცხოვრა.

თანამედროვე შინაური ცხენის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 30-35 წელია (ზოგჯერ 40-50 წელსაც აღწევს). ფაშატის მაკეობა 11 თვეს გრძელდება და ერთ კვიცს შობს (იშვიათად – ტყუპს).



ისტორიამ ცნობილ ადამიანებთან ერთად ცნობილი ცხენების სახელებიც შემოგვინახა. ასეთია ალექსანდრე მაკედონელის ცხენი ბუკეფალოსი (ბუცეფალი), რომელსაც ქვეყანაზე მხოლოდ თავისი ჩრდილის ეშინოდა. მან თავისი პატრონი ბევრჯერ გადაარჩინა სიკვდილს. ინდოეთის ლაშქრობის დროს მოკლულ ბუკეფალოსს ალექსანდრემ გრანდიოზული დაკრძალვა მოუწყო და ცხენის დაღუპვის ადგილას მისივე სახელობის ქალაქის – ბუკეფალიას აშენება ბრძანა. სხვათა შორის, ეს ქალაქი დღესაც არსებობს შეცვლილი სახელწოდებით – ჯალალპური.

ცნობილი ცხენია, ასევე, კალიგულას საყვარელი ოთხფეხა პირუტყვი – ინციტატუსი („ფეხმარდი“). კალიგულას ისე უყვარდა ცხენი, რომ მარმარილოს თავლა და სპილოს ძვლის ბაგა აუშენა, მენამული გადასაფარებელი და მარგალიტის სამკაულები უბოძა, სასახლეც კი მიუჩინა მსახურებითა და მოწყობილობით, სადაც მისი სახელით იწვევდა და ხალისით მასპინძლობდა სტუმრებს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, კალიგულამ ცხენი სენატორად აქცია. რომელიც ისტორიკოსი სვეტონიუსი წერდა, კიდევ კარგი, დროზე მოკლეს კეისარი, თორემ თავისი „ფეხმარდის“ კონსულად დანიშვნაც კი უნდოდაო.



გააკეთე შენი ხელით!

წინასაახალწლოდ ყველა ოჯახში დიდი ფუსფუსია, ყველას თავისი საქმე აქვს, ყველას თავისი წვლილი შეაქვს სადღესასწაულო სამზადისში. შენც ხომ გინდა ჩაერთო ამ საქმიანობაში და მერე სტუმრებთან იამაყო, ეს ჩემი ნახელავიაო?! გოზინაყის გაკეთებას არავინ განდობს, არც ტორტს გამოგაცხოზინებს ვინმე... ჯობია, სამზარეულოსგან შორს დაიჭორო თავი და ნაძვის ხეს მიხედო. ამ საქმეში უფროსების დახმარება არ დაგჭირდება, ჩვენ საკმაოდ იოლ ხერხს გასწავლით ულამაზესი სათამაშოების დასამზადებლად:

ამისთვის დაგჭირდება გადამწვარი ნათურები, რომლებიც ყველა სახლში მოიძებნება, გუაშის საღებავები, ფუნჯი, სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნაჭრები ან წინდები.

ახლა კი მიჰყევი ინსტრუქციას და ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც ფოტოებზეა ნაჩვენები: ჯერ საგულდაგულოდ შეღებე ნათურა და მერე შენს პინგვინს თვალები და ცხვირი მიუხატე.

ასეთივე წესით შეგიძლია დაამზადო თოვლის პაპა, ფიფქია, ჯუჯა ...



ქვენარმავალს ანადგურებს,
სულ საშრომად დარბის...
მსხალსა და ვაშლს ეზიდება –
ეკალწვეტა

ეშმაკსა და მოხერხებულს,
ემდურება ყველა.
ველ-მინდვრებზე თავეებსა სპობს,
ქათმებს გვტაცებს

ტანი თავვის, ფრთები შავი,
თითქოს ვინმემ გამურა,
დღე სძინავს და ღამე დაფრენს,
დანრიპინებს

თვალეებრიალა ავი,
ძუნძულეებს შიშისმგვრელი.
ბენვი რუხი და შავი,
აბა, რა ჰქვია

გამოცანების ავტორი
შოთა ხოდაშენელი

ზოლიანი ცხოველია,
აფრიკაში უნდა ძებნა,
ცხენს ჰგავს – მასზე პატარაა,
გამოიცან, აბა:

ჭრელაჭრულა ფრინველია,
ნისკარტმრუდე კია.
იმეორებს რასაც ეტყვი,
. ჰქვია.


გრძელულვაშა, ცნობილი
ხრიკით სხვადასხვათა,
ეფერები, – კრუტუნებს
რა არის და

ღამის ვაჟი გაძლევს დედა



დეზაზინა

ვასილ გულუბრი



ბიაფიული ლეხი



ამ ვატარა ლოკოპინას ნეტავ, ზურგი არ ეტკინა? სულ არ იცის, რაა დადლა, სახლს დაათრევს და
 გულლიაა და კეთილი, კარი არ აქვს დაკეტილი. ღიას ტოვებს, განა რჩება, რა
 ისე, რომ ვთქვათ გულახდილად, თუ ეწვია სტუმრად წინა, რა
 არც ადარდებს მომცრო ბინა, ფეხს დასდის, რა
 რომ იტყვიან, თავი მუდამ სახლში აქვს და რაღა უნდა.



მხატვარი
 ლაზა სულაკაური




ციყვი

ისე თრთი და კანკალებ,
 ისე შფოთავ, ფოთოლო,
 თითქოს უნდა დასამთრდეს,
 თითქოს უნდა მოთოვოს...
 ციყვა თუ შეგეშინდა
 რომ დაიწყო კანკალი?
 ეს ციყვს ჩამოუვარდა
 შენახული კაკალი!..

ახალი წელი

თოვლის და ყინვის კორიანტელში
 და სუსხიანი ქარის ზუსუნში,
 ტეიდან გამოდის წერწეტა ნაძვი
 ტოტებშესხლული და აბუსული...
 და მოდის ჩემთან, რომ მოკეფეო,
 რომ დაუხუნძლო ტანი მძივებით
 და გაუაბრწეინოთ ახალწლის დამე
 ნატურანსდენილ ბავშვთა სხივებით!..



ალექსი მხატვარი

აკალი-ბაკალის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი აკალი-ბაკალი. ერთ დღეს აკალი-ბაკალი მაყვლის საკრეფად ტყეში წავიდა. გზაზე მგელი შემოხვდა.


– გამარჯობა, ძმობილო!
 – გაგიმარჯოს, – მიუგო მგელმა, – საით გაგინე-
 ვია?

– მაყვლის საკრეფად მივდივარ ტყეში, – მიუგო აკალი-ბაკალიმ, – თუ გინდა, შენც წამოდი.



– კარგი, ძმობილო, – უთხრა მგელმა და მანაც მაყვლის საკრეფად მიაშურა ტყეს.

ის იყო, ერთი ვინრო ხევი გაიარეს, რომ ახლა ციყვი შემოხვდათ. ციყვმაც მგელივით მაყვლის საკრეფად განიზრახა მეგობრებთან ერთად წასვლა. აკალი-ბაკალი და მგელი დათანხმდნენ და ციყვიც თან გაიყოლეს. ბევრი იარეს თუ ცოტა, მეგობრებს ტყეში შემო-
 აღამდათ. ციყვმა თქვა: მე აქვე, ხეზე ავძვრები და ფუღუროში გავათენებ ღამესო. მგელმა იქვე, ბუჩქებში მოიკალათა, ფოთლები წაიფარა, ღამით რომ არ შესცივნიოდა და ფშვინვა ამოუშვა. დარჩა მარტო აკალი-ბაკალი, საით წასულიყო, არ იცოდა. სად იყო და სად არა, ციციანთელები გამოჩნდნენ. მათ, გზააბნეული მეგობარი დაამშვიდეს, გზა გაუნათეს და სახლამდე მიაცილეს.

დილით ციყვმა და მგელმა რომ გაიღვიძეს, აკალი-ბაკალი აღარ დახვდათ. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად მიაკვლიეს. შეწუხდნენ, ინანეს, თუმცა სინანული გვიანი იყო – მათ რომ მეგობარზე ეზრუნათ, სანანებელიც აღარ ექნებოდათ. ასეა, მეგობარს ჭირშიც და ლხინშიც გვერდში უნდა დაუდგე და არ მიატოვო.



ეს ვერდი შენ და შენ თანაცოლოვს
 ერთობათ. შვიდლიათ ეამოვეიეზანით
 თქვენი ნახატები, ლექსები, მოთხრობები...



რატომ დავდივარ ეკლესიაში

ორმოცი დღის როცა ვიყავი, მოვინათლე სვეტიცხოველში. ჩემი ნათლობის სახელია გიორგი. ამის შემდეგ ვიზრდები ეკლესიაში, თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ვესწრები წირვა-ლოცვას და ვეზიარები. ვარ კლდის უბნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის სტიქაროსანი, ჩემი მოძღვარია დეკანოზი დავით ციციქიშვილი.

ეკლესიაში იმიტომ დავდივარ, რომ ვემსახურო ღმერთს. ტაძარში მამაოს გულით უნდა უშენდე და გესმოდეს მისი თითოეული სიტყვა.

ყველა მართლმადიდებელ ადამიანს სახლში უნდა ჰქონდეს ხატები და ლოცვის კრებული. ყოველი ქრისტიანი უნდა კითხულობდეს დილისა და საღამოს ლოცვებს, ასევე ზიარების წინა ლოცვებს, უნდა ჰქონდეს სანთლები და საკმეველი, რათა ლოცვა უფრო ძლიერი და მადლიანი იყოს.

მე ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს ვმარხულობ, ასევე აღსარებას ვაბარებ ჩემს მოძღვარს. აღსარება ნიშნავს სულის განწმენდას სიბოროტისგან.

ბოლოს მე მინდა გირჩიოთ, რომ ყველამ ქრისტიანულად იცხოვროთ.

ნოდარიკო კეკელიძე

9 წლის, 128-ე საშუალო სკოლის მოსწავლე

თუთქსაც ჰქონია პაცატა იბუდი...



ლიზი
 გუდალაშვილი



გავიღვიძე... ცას შევხედე –
 რაღაც ნაცრისფერია...
 – თითქოს უნდა მოთოვოსო, –
 მითხრა ჩუმიად ფერიაბ.
 ერთი ფიფქი ჩამოვარდა,
 მიწს დაეცა ნანატრი,
 მალე მიწაც გაეხვია
 თეთრი თოვლის საბანში.
 ბამბის ქულებს დაემსგავსა
 თოვლი ნამვის ხეებსზე,
 ბავშვი დვას და ფიფქებს ისვამს
 პაწაწინა ხელებზე.

თოვს და ნელა მოფარფატებს
 ფიფქი თოვლის სახლიდან,
 მე კი ღამაზე მთებს გავცქერნი
 ჩემი სველი ფანჯრიდან.
 ახლა უკვე საღამოა,
 თოვლით თითქოს ინათა,
 ღამპიონის შუქზე ვხედავ
 ფიფქმა როგორ ინატრა:
 „არ გავქრები, იმედია,
 ბარდნამ ისევ იმატა“.





მათე მუმლაძე

ალექსანდრა სიღაგონია

ანასტასია ნაცვლიშვილი

შურნალის გამოცემა უკვე შესაქმნელია.
 ამისთვის საჭიროა ღირებულ პრინციპის გავრცელების სააგენტოები:
 საქპრესა (ტელ: 2 51 85 18), მაცნე (ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ტელ: 2 96 23 11),
 ჯეომედია (ტელ: 2 95 51 70), პილონი (ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (ტელ: 2 34 09 35)
 ან გამოიწერეთ სახლიდან გაუსვლელად ვებგვერდის www.elva.ge საშუალებით



მთავარი რედაქტორი: დოდო ნიჟინიაძე
 ნახატი ყდაზე: ელენე ვარამაშვილის
 შურნალი გამოდის ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „ედემის“ ფინანსური მხარდაჭერით
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com
 ფასი: 2 ლარი